# ბაბალე

## ბაბალე

### შექმნის ისტორია

სოციალური საწარმო “ბაბალე” 2014 წელს შეიქმნა "საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" მიერ. მათი **სოციალური მისიაა** ინტელექტუალური დარღვევებისა და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა პროფესიული გადამზადების, დასაქმებისა და მათი ოჯახების გაძლიერების გზით. შემოქმედებითი სივრცე აერთიანებს სამხატვრო სახელოსნოს - სასწავლო და სამუშაო პროცესისთვის და მაღაზია-სალონს, სადაც მომხმარებელს **“ბაბალეში”** შექმნილი პროდუქციის შეძენა შეუძლია. შემოქმედებითი იდეების ავტორები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანები არიან, რომლებიც აქტიურად ერთვებიან **“ბაბალეს”** ყოველდღიურ საქმიანობაში.







## პროდუქცია

**"ბაბალე"** კრეატიული დიზაინით დამზადებული ხის, ტექსტილისა და კერამიკის პრაქტიკული და დეკორატიული ნივთების ფართო არჩევანს სთავაზობს მომხმარებელს. ჩამონათვალშია:

- **წინდები**
- **სამზარეულოს აქსესუარები**
- **ნაჭრის ჩანთები**
- **ინტერიერის დეკორატიული და პრაქტიკული ნივთები**
- **სადღესასწაულო ნივთები და აქსესუარები**

კორპორატიულ მომხმარებლებს სოციალური საწარმო სთავაზობს მათ მოთხოვნაზე მორგებულ პროდუქციას - ბრენდირებულ ჩანთებს, საოფისე ნივთებსა და სხვადასხვა სასაჩუქრე ნაკრებს.

## სოციალური შედეგები

- "ბაბალეს" 20 მოზარდი ბენეფიციარიდან 5 დასაქმდა სხვადასხვა ადგილზე, ხოლო დანარჩენი პროფესიულ სასწავლებელში აგრძელებს სწავლას
- სოციალურ საწარმოში დასაქმებულია 16 ადამიანი, მათ შორის 6 - შშმ პირი, 5 შშმ პირის მშობელი და ადმინისტრაციის 5 თანამშრომელი
- ბავშვთა ინკლუზიურ სამხატვრო სტუდიაში 21 მოზარდს შორის 7 შშმ პირს შესაძლებლობა აქვს, უფასოდ ისარგებლოს ხატვის შემსწავლელი კურსით





www.babale.ge

+995591974351

babaleinfo@gmail.com

https://www.facebook.com/babalestore/

ალექსანდრე დიუმას N21, თბილისი, საქართველო.

